



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080123220506119

№ 1554

19 / მარტი / 2019 წ.

შპს „ლაგოს“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობა;

ტენდერების ნომრები: NAT170006390, NAT170015398;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ლაგო“ (ს/ნ: 424611441);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, რაც ცნობილი გახდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 26 თებერვალს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობის 2019 წლის 26 თებერვლის № 31-0119057617 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2134), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT170006390 და NAT170015398 ელექტრონულ ტენდერებში შპს „ლაგოს“ (ს/ნ: 424611441) მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის თაობაზე, რაც ცნობილი გახდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

1.2. შპს „ლაგოს“ სააგენტომ 2019 წლის 1 მარტის № 906 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა ხელშეკრულებების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რაც ცნობილი გახდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების დადების შემდეგ, კერძოდ, მან შემსყიდველ ორგანიზაციას გამოცდილების დადასტურების მიზნით წარუდგინა ყალბი დოკუმენტები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2017 წლის 9 ივნისსა და 27 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობამ გამოაცხადა NAT170006390 და NAT170015398 ელექტრონული ტენდერები რკინა-ბეტონის სამუშაოების (CPV45262310) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2017 წლის 6 ივლისისა და 2018 წლის 23 იანვრის № 2 სხდომის ოქმებით, მიმწოდებელს, სხვა დოკუმენტებთან ერთად, ეთხოვა გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

4.3. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას გამოცდილების დადასტურების მიზნით, სხვა დოკუმენტებთან ერთად, NAT170006390 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარუდგინა შპს „ლაგოსა“ და შპს „ქალაქმშენსერვისს“ შორის გაფორმებული 2015 წლის 15 მაისის № 3-1 ხელშეკრულება, ხარჯთაღრიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტი და შესრულებული სამუშაოს აქტი.

4.4. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას გამოცდილების დადასტურების მიზნით, სხვა დოკუმენტებთან ერთად, NAT170015398 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარუდგინა შპს „ლაგოსა“ და შპს „ქალაქმშენსერვისს“ შორის გაფორმებული 2015 წლის 15 მაისის №3-1 და 2017 წლის 17 მარტის №3-7 ხელშეკრულებები, ხარჯთაღრიცხვები, მიღება-ჩაბარების აქტები და შესრულებული სამუშაოს აქტები.

4.5. მხარეთა შორის 2017 წლის 27 ივლისისა და 2018 წლის 7 თებერვალს გაფორმდა № 2.9.15/30/51 და №2.9.15/30/19 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

4.6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 22 იანვრის განაჩენიდან დგინდება, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, NAT170006390 და NAT170015398 ელექტრონულ ტენდერებში მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა ყალბი დოკუმენტები.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ლაგო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერილი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია მცდარი ინფორმაცია, რაც იყოფა ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს, ხოლო აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.4. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა მხარეთა შორის ხელშეკრულებების გაფორმებამდე შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა ყალბი დოკუმენტები. შესაბამისად, დასტურდება,

რომ შპს „ლაგომ“ დაარღვია აფიდავიტის პირობები, რის გამოც არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან დგინდება, რომ მიმწოდებელმა ტენდერებში ხელშეკრულებების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რაც ცნობილი გახდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების დადების შემდეგ. შესაბამისად, მოცემული დარღვევების გათვალისწინებით, შპს „ლაგომ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „ლაგომ“ (ს/ნ: 424611441) 2019 წლის 20 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე